განკითხვის დღე არ დადგება მანამ, სანამ დრო არ დაჩქარდება

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «განკითხვის დღე არ დადგება მანამ, სანამ დრო არ დაჩქარდება. წელიწადი იქნება როგორც თვე, თვე — როგორც კვირა, კვირა — როგორც დღე, დღე — როგორც საათი, ხოლო საათი იქნება როგორც დრო, რაც საჭიროა პალმის ტოტის დაწვისთვის».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აჰმადმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ დროის დაახლოება განკითხვის დღის მოახლოების ნიშანთაგანია. ერთი წელი გავა, როგორც გადის ერთი თვე, ერთი თვე გავა, როგორც გადის ერთი კვირა, ერთი კვირა გავა, როგორც გადის ერთი დღე, ერთი დღე გავა, როგორც გადის ერთი საათი, ერთი საათი გავა ისე სწრაფად, როგორც იწვის პალმის ერთი ხმელი ფოთოლი.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65027